

გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის პირობათმომხრებელი მოსარეაბილიტაციო მსოფლიო

დღეს მოსლოდნელია დროგამოშვებით წვიმა, ცვალებადი მიმართულების ქარი - 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდა-თიან რაიონებში - 23-28, მაღალ მთაში - 17-22 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 19 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 755 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს - ღამის საათებში მოსლოდნელია წვიმა ელექტივით.

კრიკოსი N 10

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიაშვილმა 13 ივნისს თბილისში მომხდარი სტიქიის შედეგად დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო. პრემიერი დაღუპულთა ხსოვნის მემორიალთან თბილისის მერ კახა კალაძესთან და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძესთან ერთად მივიდა და ყვავილებით შეამკო. 13 ივნისის ტრაგედიიდან შვიდი წელი გავიდა. 2015 წლის 13 ივნისს მდინარე ვერხს ხეობაში მომხდარმა სტიქიამ 21 ადამიანის სიცოცხლე შეიწურა, 2 კი უზღოურკვლოდ დაკარგულად ითვლება.

პარლამენტის კულტურის კომიტეტი საკომიტეტო მოკლევას იწყებს თემაზე „კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების - საფორტიფიკაციო ნაგებობების ფიზიკური აღდგენა - რესტავრაცია და ფუნქციური რევიტალიზაცია“. საკითხზე ინფორმაცია დეპუტატებს აღნიშნული მოკლევას მთავარმა მომხსენებელმა ალექსანდრე ელისაშვილმა გააცნო. ჯგუფის დანიშნულ დეპუტატებმა მხარი ერთხმად დაუჭირეს. „საკითხი მართლაც მნიშვნელოვანია. გვიჭირბობ, გველოდება საინტერესო და ნაყოფიერი მუშაობა“, - აღნიშნა კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძემ.

თუ რამე უარყოფითი ჩაიწერა კანდიდატურასთან დაკავშირებით, ეს იქნება ოპოზიციის „დამსახურება“, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ დაეზინებინა საქართველოს პერსპექტივა, - ამის შესახებ უმრავლესობის წევრმა გიორგი ხელაშვილმა საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოლოდინებზე საუბრისას განაცხადა. მისი თქმით, აუცილებელია, ევროპის მხრიდან დაფასირდეს ყველაზე უფრო სამართლიანი გადაწყვეტილება, რადგან ევროკავშირი ყოველთვის ასოცირდება პოლიტიკურ სამართლიანობასთან.

„სტრატეგია აღმაშენებელმა“ საქართველოს მასშტაბით 100-სათიანი ტურნე ერთად ევროპისკენ“ წამოიწყო, რომელმაც სტარტი თბილისში აიღო და ერთი კვირის განმავლობაში ქვეყნის ყველა რეგიონს მოიცავს. „შეგხვდებით ხალხს. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რამდენად მნიშვნელოვანია ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღება... ჩვენ რაც შეიძლება მალე უნდა მოვიყვანოთ საქართველოში ევროპა. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს ისტორიული შანსი არ დაგვკარგოთ“ - განაცხადა პარტიის ლიდერმა გიორგი ვაშაძემ.

მომავალა ია შველიძე

მთავრობის თავმჯდომარე კელი დებანს შეხვდა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე საქართველოში აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩს კელი დებანს შეხვდა. მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შეხვედრაზე საუბარი შეეხო ორ ქვეყანას შორის არსებულ დიპლომატიურ ურთიერთობებს, რომელსაც უკვე 30-წლიანი ისტორია აქვს. აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველო რჩება შეერთებული შტატების გრძელვადიან სტრატეგიულ პარტნიორად, მტკიცე, ქმედითუნარიანი და სანდო მოკავშირედ რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ. ითქვა, რომ საქართველოსა და აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობა უმაღლეს ნიშნულზეა და ეს პარტნიორობა უმნიშვნელოვანესია როგორც ორი ქვეყნის საერთო ინტერესების, ისე რეგიონისა და ევროატლანტიკური უსაფრთხოებისთვის.

„ძალიან ინფორმატიული შეხვედრა მქონდა აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან და ბათუმ-



ის მერთან. ვისაუბრეთ რეგიონულ განვითარებაზე. მისარია, რომ ვხედავ, კოვიდპანდემიის შემდეგ როგორ უმჯობესდება ეკონომიკა, რაც ტურისტების ნაკადზეც აისახება. ვისაუბრეთ ასევე პოლიტიკურ სიტუაციაზე, იმ შესაძლებლობებზე, რაც აქვს საქართველოს, გახდეს აღმოსავლ-

თისა და დასავლეთის ჰაბი. ეს აჭარისთვის დიდ პერსპექტივას წარმოადგენს. ასევე, ძალიან ბედნიერი ვართ, რომ აღვნიშნავთ საქართველოსა და ამერიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლის იუბილეს, ამიტომაც ჩამოვდით აჭარაში. მინდა მაგალითად გადავხადო აჭარაში ჩვენს პარტნიორებს იმ შესანიშნავი თანამშრომლობისთვის, რაც მათთან გვაქვს ამ 30 წლის განმავლობაში. ვამაყობ, რომ ამდენი ინიციატივის მხარდაჭერა შევძელით ადგილობრივი ეკონომიკის და ქართველი ხალხის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად,“ - აღნიშნა კელი დებანმა.

თორნიკე რიჟვაძემ შეხვედრისას ხაზი გაუსვა ნატოს გეგმების ვიზიტებისა და წვრთნების მნიშვნელობას, რომელიც რეგულარულად ტარდება ბათუმის პორტში. მისივე თქმით, ეს ეხმარება საქართველოს საზღვაო ძალებს, დააკმაყოფილოს საერთაშორისო სტანდარტები.

ია შველიძე

ახალი სკვერის მშენებლობა აზვისტოში დასრულდება

წელს ბათუმში 10 ახალი სკვერი მოეწყობა. დასკვნით ეტაპზე შეიქმნა ხიმშიაშვილის ქუჩაზე სკვერის მოწყობის სამუშაოები. აქ სამშენებლო კომპანია „ილიჩინს“ მრავალსართულიანი კომპლექსის მშენებლობაზე უარი ეთქვა იმის გამო, რომ დარღვეული ჰქონდა აჭარის მთავრობასთან გაფორმებული სახელშეკრულებო ვალდებულებები. ახალი სკვერის მშენებლობა მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით დაიწყო.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა სანიადრე და გარეგანათების სისტემები, ბორღურები და დეკორატიული ღობე, დაიგება გრანიტის საფარი და მწვანე კორდი, აშენდება შადრევანი, დამონტაჟდება საბავშვო ატრაქციონები, დაიდგება დეკორატიული სკამები და სანაგვე ურნები. სამუშაოებზე 1 888 887 ლარი დაიხარჯება და იგი ავვისტოში დასრულდება.

ახალ სკვერში მიმდინარე სამუშაოები აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ ქალაქ ბათუმის მერთან არჩილ ჩიქოვანთან ერთად დაათვალიერა.

„დღეს კიდევ ერთხელ გავცანიტ „მაკდონალდსის“ მიმდებარე ახალი სკვერის მშენებლობის პროცესს. როგორც მოსახლეობას დავპირდ-



ით, ძალიან მალე აქ მცხოვრებ 1000-მდე ოჯახს გაუჩნდება ახალი საზოგადოებრივი რეკრეაციული სივრცე. მოსახლეობის თხოვნა, რომ მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე არ განხორციელებულიყო ინტენსიური მშენებლობა, სრულად არის გათვალისწინებული. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე კოე-

ფიციენტი გაუქმებულია, პროექტის ნებართვა შეთანხმებული არ არის, შესაბამისად, ძალიან მალე, იურიდიული პროცედურები დასრულდება და ამ საქმესაც ბოლომდე მივიყვანოთ,“ - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

ანა ჩხიშვილი

ბათუმი ბევრად მეტია, ვიდრე ფარული მარბალიტი...

საზღვაო ტურისტული სეზონი ხვალ ოფიციალურად იხსნება

ბათუმში საზღვაო ტურისტული სეზონი ოფიციალურად 15 ივნისს გაიხსნება და დონსიძიება 20 ივნისამდე გაგრძელდება. როგორც აჭარის ტურისტებისა და კურორტების დეპარტამენტში აცხადებენ, რეგიონში აქტიურად მიმდინარეობს ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა. ბათუმსა და მუნიციპალიტეტებს დაემატა ახალი ტურისტული ატრაქციები. დეპარტამენტის ხელმძღვანელის თინათინ ზოიძის თქმით, საზღვაო ტურისტული სეზონისთვის მოლოდინები პოზიტიურია. „მიუხედავად გამოწვევებისა, ვინაიდან ჯერ კიდევ პანდემიურ რეჟიმში გვიწევს ყოფნა, მოლოდინი დადებითი მაჩვენებლისკენ მიგვანიშნებს. კერძო და სახელმწიფო სექტორის ერთობლივი ჩართულობით, ვცდილობთ, სეზონი იყოს მაქსიმალურად დატვირთული. გვინდა, 2019 წლის მაჩვენებელთან გათანაბრება როგორც ნაკადების, ისე შემოსავლების კუთხით და ამისთვის ბევრს ვმუშაობთ. უნდა აღინიშნოს, რომ დინამიკა მზარდია. მაგალითად, სტატისტიკურად, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი უკვე, 2019 წელთან შედარებით, 30-პროცენტით უზრდას აჩვენებს. ემატება ახალი მიმარ-



თულებები. ივნისის თვეში 300-ზე მეტი ავიარების შესრულება 13 ქვეყნიდან. აღსანიშნავია, რომ ბათუმს კიდევ ერთი მიმართულება „ბაქო-ბათუმი“ დაემატა.

პირველი ავიარების რეგიონში 100-მდე ტურისტი ჩამოვიდა. ფრენები ზაფხულის

განმავლობაში, ივნისის ბოლომდე, კვირაში ორჯერ, ივლისიდან კი სამჯერ შესრულდება, რაც რეგიონში აზერბაიჯანელი ტურისტების შემოსვლას შეუწყობს ხელს.

იხ. გვ-7 გვ.



თორნიკე რიჭვაძე: ბიძინა ივანიშვილი გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი, გაბედული და პატრიოტი ქართველი, ვისაც ოდესმე შევხვედრივარ

9 ივნისს ევროპარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციასთან - „საქართველოში მედიის თავისუფლების დარღვევებისა და ჟურნალისტების უსაფრთხოების გამოწვევების შესახებ“ - დაკავშირებით, რომელშიც შესწორების სახით შევიდა მოწოდება, სადაც საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილისთვის სანქციების დაწესების განხილვაზეა საუბარი, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე გუშინ განცხადება გააკეთა: „რაც შეეხება სიყალბით და ორპირობით სახსრებზე რეზოლუციას, სადაც გარკვეული მანიპულაციებია შესაძლო სანქციებთან დაკავშირებით და, ასევე, ის თავგასულობა, რომელსაც იჩენს ერთ-ერთი ევროპული ბანკი, ბუნებრივია, მიუღებელია. ამავე დროს მინდა აღვნიშნო, რომ ფაქტი ფაქტად რჩება: ბატონი ბიძინა ივანიშვილი აღარ არის ჩართული ქართულ პოლიტიკაში და ასევე, ყველაზე მთავარი: ბატონი ბიძინა გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი, გაბედული და პატრიოტი ქართველი, ვისაც ოდესმე შევხვედრივარ. სანქციებით და ფინანსური ზეწოლით ჩვენ ვერავინ დავაშინებთ. ყველა გაკეთებულ საქმეს რომ თავი დავანებოთ, ამ ადამიანმა სამეხარულეა აუშენა ქვეყანას და ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი, სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმის დამარცხება მოახერხა. როგორც მინიმუმ, სტატუსის და თანამდებობის გარეშე, ყველა ქართველს, რიგით ქართველს კაცური ვალი გვაქვს, რომ ყველა ბრძოლაში არ დავიხიოთ უკან და ბოლომდე ვიბრძოლოთ, როგორც ჩვენი ქვეყნის ერთგულ ჯარისკაცებს ეკადრება“.



ნოშვილი აღარ არის ჩართული ქართულ პოლიტიკაში და ასევე, ყველაზე მთავარი: ბატონი ბიძინა გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი, გაბედული და პატრიოტი ქართველი, ვისაც ოდესმე შევხვედრივარ. სანქციებით და ფინანსური ზეწოლით ჩვენ ვერავინ დავაშინებთ. ყველა გაკეთებულ საქმეს რომ თავი დავანებოთ, ამ ადამიანმა სამეხარულეა აუშენა ქვეყანას და ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი, სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმის დამარცხება მოახერხა. როგორც მინიმუმ, სტატუსის და თანამდებობის გარეშე, ყველა ქართველს, რიგით ქართველს კაცური ვალი გვაქვს, რომ ყველა ბრძოლაში არ დავიხიოთ უკან და ბოლომდე ვიბრძოლოთ, როგორც ჩვენი ქვეყნის ერთგულ ჯარისკაცებს ეკადრება“.

სატყეო სააგენტო ბრანდს მიიღებს

ნათია იხნაიშვილი 27 48 93

გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკისგან (KfW) აჭარის სატყეო სააგენტო 7 500 000 ევროს ოდენობის გრანტს მიიღებს გრანტის ფარგლებში, აჭარაში ხელი შეეწყობა ტყის მდგრადი მართვის გაუმჯობესებას, აჭარის სატყეო სააგენტოს ინსტიტუციურ განვითარებას და ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას. ახალ საგრანტო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს აჭარის სსიპ „სატყეო სააგენტო“ უფროსმა თემურ ყურაშვიდამ და გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის საქართველოს გარემოსდაცვითი პორტფელის მენეჯერმა ფრენკ მორშელმა.

რის ტყეების მდგრადი მართვა და დაცვით ის ეკოსისტემა, რითაც მდიდარია რეგიონი. მოგესვენებათ, აჭარის 65% ტყით არის დაფარული და მის ტერიტორიაზე 4 დაცული ტერიტორიაა, მათგან 3-ს იუნესკომ მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებამ ბოლო ათწლეულში მნიშვნელოვნად შეცვალა და-

მოკიდებულა ტყეების მართვის და სატყეო სექტორის მიმართ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გერმანიის მთავრობას და გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს აღნიშნული მხარდაჭერისთვის დიდი მადლობა გადავუხადო, - აღნიშნა აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ.



BIODIVERSITY AND SUSTAINABLE LOCAL DEVELOPMENT IN GEORGIA

მინისტრმა ჩაქვის სანერბე-სადემონსტრაციო ნაკვეთი დაათვალიერა

ნათია იხნაიშვილი 27 48 93

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ, მოადგილეებთან ერთად, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აქაიბ აგროსერვისცენტრის ჩაქვის სანერბე-სადემონსტრაციო ნაკვეთი დაათვალიერა და არსებულ სიტუაციას ადგილზე გაეცნო. სანერბე-სადემონსტრაციო ნაკვეთში, 11 ჰა ფართობზე 65 ჰექტარის ციტრუსისა გაშენებული, რომელიც უცხოეთიდანაა შემოტანილი.




ბრივი წარმოების განვითარებას. სანერბე მეურნეობაში დაგეგმილია უძველესი ყურძნის ჯიშების გაშენება. მიმდინარე წელს აგროსერვისცენტრმა ადგილზე აწარმოა 28 000 ძირი სასუფ-

რე და საღვინე ვაზის ნერგი, რომელიც მინიმალურ ფასად ფერმერებს გადაეცემა. ზაზა შავაძემ დაათვალიერა ხეხილის სანერბე მეურნეობა და ღვინის სახლიც, სადაც განთავსებულია რეწვის ნიმუშები, საგამოფენო დარბაზი და ეთნოგრაფიული კუთხე. გარდა ამისა, ღვინის სახლს ტურისტული დანიშნულება აქვს. მასში მოქმედებს საინფორმაციო ცენტრი, სადაც აგროტურიზმით დაინტერესებულ პირებს აჭარის რეგიონის აგროტურისტული პოტენციალის შესახებ ინფორმაციას აწვდიან. აქვე, ფერმერებისა და მეწარმეებისთვის ტარდება სწავლება-კონსულტაციები ღვინის დაყენების ტექნოლოგიაში. გამოყოფილია სასოფლო-სამეურნეო კუთხე, სადაც ქართული პროდუქციაა გამოფენილი.

„ნაციონალური“ საკრებულოში მერს იწვევენ

ბათუმის საკრებულოს ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მერის საქმიანობის ანგარიშის წარდგენას ითხოვს და არჩილ ჩიქოვანს საკრებულოში იწვევს. როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი რეზო ხარაზი აცხადებს, რამდენიმე საკითხზე აქვთ კითხვები, მათ შორის, ბათუმის სანაპირო ზოლის გამაგრების, გოგოლის ქუჩაზე უკანონო მშენებლობისა და ავარიული სახლების პროგრამასთან დაკავშირებით. მისი თქმით, დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს სახელმწიფო აუდიტის ანგარიშების განხილვა.



ნაპიროზე ნაპირსამაგრი სამუშაოები არ არის დაწყებული, ასევე, ახალ პროექტზე „ავარიულ სახლებთან“ დაკავშირებით შეკითხვები გვაქვს, რომლის პროგრამა „შაერშია“ და მხოლოდ ტელევიზიით ვისმენთ. საკრებულოზე აუდიტის

დაცვენები განვიხილოთ, რათა შემდგომ იგივე შეცდომები არ დავუშვათ. პასუხისმგებლობა როგორც მერიას, ასევე ოპოზიციასაც ეკისრება. ამასთან, მთავარი მოთხოვნაა, რომ „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა დღის წესრიგში ჩამოთვლილი საკითხები დააყენონ და თქვან, აქვთ თუ არა შეკითხვები ქალაქის მერთან. დარწმუნებული ვარ, რომ ეს საკითხები თავადაც აწუხებთ და ამიტომ ანგარიშით ქალაქის მერი მოვიწვიოთ, ის ვალდებულია, წარსდგეს საკრებულოს წინაშე“, - განაცხადა რეზო ხარაზმა.

საკრებულოს სხდომა 17 ივნისს არის ჩანიშნული. მივა თუ არა ქალაქის მერი სხდომაზე, ამასთან დაკავშირებით კომენტარი მერიაში არ გაცემებულა.

ანა ჩხიკვაძე

შავათ-ქვირის ქრონიკა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჭვაძემ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა აჭარის განათლების მინისტრ მაია ხაჯიშვილთან ერთად, ბათუმის სპორტკომპლექსში სპორტული ფესტივალი გახსნეს. შეჯიბრში მონაწილეობა უკრაინელმა და ქართველმა მოსწავლეებმა მიიღეს. აჭარის მთავრობის თავმჯდომარე სიტყვით გამოხვლინდა აღნიშნა, რომ მსგავსი თემბაქის ღონისძიებები დამატებით მოტივაცია იქნება უკრაინელი ბავშვებისთვის და აჭარის მთავრობა ყველაფერს გააკეთებს, რომ უკრაინელმა სტუმრებმა თავი იგრძნონ როგორც საკუთარ სახლში. სპორტულ ფესტივალს, ასევე, ესწრებოდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე თამარ მახარაშვილი, ქალაქ ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე, ადგილობრივი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მსოფლიო ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭადრაბში მუხრან განტანაძე და სხვა მოწვეული სტუმრები, მათ შორის, უცხოეთში სტაჟირების პროგრამა „ევროდისის“ მონაწილე ბელგიელი და იტალიელი ახალგაზრდები.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი აგრძელებს მასტერკლასების სერიას ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებისთვის. ემოციური ინტელექტი, მისი განვითარების სტრატეგიები, გადაწყვეტილების მიღება, ემოციური ჰიგიენა, ემოციური ინტელექტი და მარკეტინგი - ასეთი იყო თემატიკა მასტერკლასისა, რომელიც ცნობილმა ტრენერმა თორნიკე გურულმა ჩაატარა. მასტერკლასების მიზანი სფეროში დასაქმებული კადრებისთვის სამუშაო გარემოს გაუმჯობესება და რეგიონში სერვისის ამაღლებაა. შემდეგი ტრენინგი ბრენდინგს დაეთმობა და მას ანდრო მეტრეველი გაუძღვება.

ბათუმის ბულვარში დასაქმებულმა მეიჯარებმა აქცია გამართეს. მოქალაქეები აჭარის მთავრობის სახლთან მივიდნენ და მიმართვა გააუქმეს, რომლის მიხედვითაც აუქციონის გაუქმება მოითხოვეს. მათი განმარტებით, ბოლო 5 წლის განმავლობაში მუშაობის უფლება პირდაპირი წესით გადაეცემოდათ, წელს კი გარკვეულ რისკებს ხედავენ. ფიქრობენ, რომ კონკურენცია რთული იქნება, რადგან უცხო ქვეყნებიდან შემოსულ მოქალაქეებს დიდი თანხები აქვთ და შესაძლოა, მათი დაინტერესების გამო ქართველმა არჩენდატრებმა ვერ გაიმარჯვონ. მეიჯარეების ინფორმაციით, ბულვარში 150-ზე მეტი ადამიანი წლების განმავლობაში მუშაობს და ეს მათი შემოსავლის ერთადერთი წყაროა. ბათუმის ბულვარში აცხადებენ, რომ პირდაპირი წესით სარგებლობის გამონაკლისი პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების ფონზე დაუშვეს, ახლა კი კანონით გათვალისწინებული ნორმებით მოხდება სხვადასხვა ობიექტის სეზონური სარგებლობით გადაცემა.

ქალთა საფეხბურთო კლუბმა „ბათუმმა“ ლიგა-2-ის გათამაშებაში უხედილად მეთხუ შეხვედრა მოიგო. ბათუმელებმა „დიდგორი“ მიიღეს და მეტოქე დიდი ანგარიშით 5:1 დაამარცხეს. 4 ჩატარებული შეხვედრის შემდეგ „ბათუმმა“ უდანაპარგოდ, 12 ქულით მეორე ადგილზე იმყოფება.



რუსეთს დროთა განმავლობაში მაინც მოუწევს საქართველოს ნატოში გაერთიანებასთან შეხება

ლუაზა ხომიბერიძე 593 50 82 69

ეს კვირა საერთაშორისო პოლიტიკაში შესაძლოა ემოქალაქურ მოვლენად ჩაიწეროს, რადგან არ არის გამორიცხული, ნატოს ორი ახალი წევრი - შვედეთი და ფინეთი შეემატოს. ეს უპრეცედენტო გადაწყვეტილება იქნება, ვინაიდან ზემოაღნიშნული ქვეყნები, როგორც ცნობილია, ნეიტრალური სახელმწიფოს სტატუსით თამაშობდნენ მსოფლიო გეოპოლიტიკაში, მაგრამ რუსეთის აგრესიამ უკრაინის მიმართ, შვედეთის და ფინეთის პოლიტიკა კარდინალურად შეცვალა, გაუჩნდა უსაფრთხოების მეტი გარანტიის სურვილი, ამიტომაც ცდილობენ მძლავრ სახმედრო ალიანსში გაწევრიანებას

ახლოვდება ნატოს სამიტი, რომელიც ამ კვირაში მადრიდში გაიმართება და კვლავ განსაკუთრებული აქტუალობით ისმის კითხვები: როდის გაერთიანდება საქართველო ნატოში, ზეგავლენას ხომ არ ახდენს რუსეთი ალიანსის გადაწყვეტილებაზე და რატომ აფრთხობს კრემლს ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება? - ეს კითხვები დაახლოებით თოთხმეტი წელია, ისმის იმის გამო, რომ ალიანსმა 2007 წელს სწორედ რუსეთის ინტერესები გაითვალისწინა და საქართველოს, უკრაინას მაკი არ მიანიჭა, რასაც მოჰყვა რუსეთის აგრესია ამ სახელმწიფოების მიმართ.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ თუ ნატო მომავალშიც უკან დაიხევს, რუსეთისგან არც ახალი აგრესიაა გამორიცხული. დასავლეთმა ეს არასგზით არ უნდა დაუშვას. სიმართლე რომ ითქვას, მადრიდის ნატოს ამ მოახლოებულ სამიტზე საქართველოს და უკრაინის გაწევრიანების საკითხი არ განიხილება მრავალი მიზეზის გამო. უმთავრესი ისევე რუსეთის პოზიციაა. ეს ქვეყანა კატეგორიულად ეწინააღმდეგება ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას, რუსეთის



ბით შესაძლებელია, ჩვენთან ანტიდასავლური კამპანია გააქტიურდეს.

მეორე მთავარი პრობლემა, რაც ამას შეიძლება მოჰყვეს, ისაა, რომ კრემლი დარწმუნდება თავის შესაძლებლობებში და ეცდება, გავლენა მოახდინოს ნატოს გადაწყვეტილებაზე, რუსეთის ხელისუფლება მიიღებს კარტლანშს საქართველოზე მეტი ზემოქმედებისთვის.

მიუხედავად რუსეთის დესტრუქციულობისა და ნატოს თავშეკავებისა, შეიძლება თამამად ითქვას, რომ გვიხ ნატოსკენ თანამედროვე საქართველოს სწორი პოლიტიკური მიმართულებაა. რასაკვირველია, მოსკოვისთვის უმჯობესია, თუ მის საზღვრებთან ნატოს შეიარაღებული ძალები არ განლაგდება და ჩვენი ქვეყანა ალიანსში გაწევრიანებაზე არ იფიქრებს, მაგრამ, საბედნიეროდ, ჩვენ კურსის შეცვლას არ ვაპირებთ. პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ საქართველო-

ბის სტანდარტებში. ჩვენმა ქვეყანამ ნატოს მოთხოვნები ისე უნდა შესაბამისად, რომ ვერცერთმა სახელმწიფომ რაიმე პრეტენზია ვერ წამოგვიყენოს. მართალია, ჩვენი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს ნატოს სტანდარტებთან დასახლოებად (რამაც ოპოზიციას ეჭვი ეპარება), მაგრამ ეს მართლაც ჩვენი არაა დამოკიდებული... საყურადღებოა პოლიტოლოგ გელა ირემიძის მოსაზრება: «გავიხსენოთ ის წლები, როცა ნატო შეიქმნა. სად გადიოდა მაშინ მოსკოვ-ნატოს დაპირისპირების ზღვარი? ეს იყო ცენტრალური ევროპა. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში სიტუაცია შეიცვალა - სოციალისტური ბანაკი და ვარშავის ბლოკი დაიშალა, ყოფილი წევრები ევროპისკენ წავიდნენ, გაერთიანდნენ ნატოსა და ევროკავშირში და დღეს მივიღეთ სიტუაცია, როდესაც მოსკოვ-ბრიუსელის დაპირისპირების ზღვარი გადის არა ცენტრალურ ევროპაზე, არამედ რუსეთის საზღვართან, რაც კრემლის გალიზინებას იწვევს».

სხვათა შორის, რუსეთს თავის დროზე ვერც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გაწევრიანება წარმოედგინა ალიანსში და ვერც ლიტივის, ლატვიისა და ესტონეთის, მაგრამ დადგა შესაფერისი მომენტი, რომელმაც განაპირობა ალიანსის გაძლიერება, ასე რომ, დრო ჩვენს სასარგებლოდ მუშაობს, თუმცა მოვლენების შემდგომ განვითარებას შესაძლებელია, ზიგზაგებიც ახლდეს. პოლიტოლოგების აზრით, რუსეთი ყველაფერს იღონებს, რომ საქართველოს ხელისუფლებას ქვეყნის შიგნით და გარეთ პრობლემები შეუქმნას და ევროსტრუქტურებში გაერთიანებისაკენ სწრაფვა გადააფიქრებინოს. ამ მხრივ საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს კურსი ევროპულია და ამას ვერავინ შეაჩერებს: «რაც მალე გაერთიანდება საქართველო ნატოში, მით უკეთესი იქნება ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის», - ამბობს იგი.

უდავოა, რომ ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ნატოს უსაფრთხოების ქოლგაზე უკეთესი სისტემა მსოფლიოში არ არსებობს, ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებული ქვეყნები უსაფრთხოდ გრძნობენ თავს, ეკონომიკური კეთილდღეობითაც გამოირჩევიან, რაც ცხადყო ნატოს 71-წლიანმა ისტორიამ. მოკლედ, ნატო, მართლაც, ყველაზე ორგანიზებული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკია და მისი მსგავსი ორგანიზაცია დღევანდელ მსოფლიოში არ არსებობს.

მკაფიოდ უნდა ითქვას: თუ ნატოს სამომავლო სამიტებზე ალიანსი კვლავ ორჭოფულ პოზიციას დაიკავებს, შესაძლოა, ამის გამო მოსახლეობის კიდევ უფრო მეტ ნაწილს აუცრუვდეს გული და იკითხოს, ნუთუ ღირდა ნატოს გულისთვის მოსკოვის განაწევენება? ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, ჩვენთან ანტიდასავლური კამპანია გააქტიურდეს

აგრესია უკრაინისადმი გარკვეულწილად სწორედ უკრაინელთა ნატოსკენ სწრაფვამ განაპირობა. 2008 წლის ომის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზიც სწორედ ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკური კურსი იყო. ამას არც მალავენ რუსეთის ოფიციალური პირები, ღია განცხადებაც გაკეთდა, რომ ეს ომი საქართველოს ნატოსკენ სწრაფვამ გამოიწვია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით ალიანსის გადაწყვეტილებაზე მოსკოვი კვლავაც გარკვეულ ზეგავლენას ახდენს (ძირითადად, საფრანგეთის და გერმანიის ძალისხმევით) და ეს საშუარო ტენდენცია შესაძლოა, მომავალშიც გაგრძელდეს. მოსკოვი ხაზგასმით აცხადებს, რომ მის საზღვართან არ დაუშვებს ნატოს მოახლოებას და ამ კონტექსტში - საქართველოსა და უკრაინის გაერთიანებას ამ ალიანსში, რადგან ეს ქვეყნები მას ესაზღვრება... მაგრამ ბალტიისპირეთის სახელმწიფოებიც ესაზღვრება რუსეთს, ფინეთიც რუსეთის მეზობელია და, გარკვეულწილად, შვედეთიც. ამ ორი ქვეყნის გაერთიანება ნატოში დროის საკითხია, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ამ მხრივ ფინეთს წინაპირობებს უყენებს. სხვათა შორის, აღნიშნული ქვეყნების ნატოში გაერთიანების სურვილის გამო მოსკოვი დიდ წინააღმდეგობას არ გამოხატავს, რადგან ეს სახელმწიფოები სამხედრო თვალსაზრისით მძლავრი აქტორები არიან, მათთან ომი რუსეთს კარგს არაფერს უქადის. თუ საქართველო და უკრაინა გახდებიან ალიანსის წევრები, რაც დემოკრატიულ მმართველობას და ეკონომიკურ კეთილდღეობას გულისხმობს, ეს რუსეთის მოქალაქეებს დემოკრატიული მმართველობის უპირატესობას კიდევ ერთხელ დანახებს, რაც კრემლის მმართველების ძალაუფლებას დაასუსტებს.

რუსეთის დესტრუქციული ქმედებებს დასავლეთი თითქმის მოთხედი საუკუნე აპირავდა, რაც მან შესანიშნავად გამოიყენა. ვიდრე დასავლეთი ასეთი ორმაგი სტანდარტებით იმუქმებდა თუნდაც საქართველოსთან მიმართებით, კრემლს მეტი შანსი მიეცემა, ახალი აგრესია განახორციელოს მოლდოვასა და საქართველოში. მკაფიოდ უნდა ითქვას: თუ ნატოს სამომავლო სამიტებზე ალიანსი კვლავ ორჭოფულ პოზიციას დაიკავებს, შესაძლოა, ამის გამო მოსახლეობის კიდევ უფრო მეტ ნაწილს აუცრუვდეს გული და იკითხოს, ნუთუ ღირდა ნატოს გულისთვის მოსკოვის განაწევენება? ასე რომ, სავსე-

ში ამერიკული სამხედრო ბაზების განლაგება, ჯერჯერობით გამორიცხებულია, თუმცა ნატოში გაწევრიანება სავსებით რეალურია. პოლიტოლოგთა პროგნოზით, რუსეთს დროთა განმავლობაში მაინც მოუწევს, შეეგუოს საქართველოს გაერთიანებას ნატოში.

ცნობილია, რომ ნატოში ახალი სახელმწიფოს გაწევრიანებას ყველა წევრი ქვეყნის თანხმობა სჭირდება. სამწუხაროდ, მათ შორის არაერთი ეწინააღმდეგება ნატოს გაფართოებას, კერძოდ, გერმანია და საფრანგეთი. საქართველოს ამ საკითხში ყველაზე გულმგობრად მხარს უჭერენ ე. წ. ახალი ევროპული ქვეყნები და ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, რომლებსაც უახლოეს წარსულში სწორედ სოციალისტურ რეჟიმში უნდებოდათ ცხოვრება. ცხადია, მათ უკეთ ესმით ჩვენი. ამ მხარდაჭერა დიდი მნიშვნელობა აქვს. ისინი, ასე ვთქვათ, ჩვენი ლობისტები არიან, მაგრამ ნატოს მოთხოვნით საქართველო უნდა ჩაჰდეს ევროპული სახელმწიფო-

„კუტიანი მაშინ დამარცხდა, როდესაც უკრაინაზე თავდასხმა გადაწყვიტა... უკრაინამ უკვე მოიგო ომი“

ამის შესახებ აშშ-ის ყოფილიმა სპეციალურმა წარმომადგენელმა უკრაინის მოლაპარაკებების საკითხებში და აშშ-ის ყოფილიმა ელჩმა ნატოში კურტ ვოლკერმა „ინტერპრესნიუსთან“ ინტერვიუში განაცხადა. მისი თქმით, არავინ ელოდა, რომ პუტინი ამ მასშტაბის ომს წამოიწყებდა. «პუტინმა შეცდომა დაუშვა. ის ვერ განადგურებს 40 მილიონ ადამიანს, ვერ დაარწმუნებს უკრაინელებს, რომლებსაც აქვთ საკუთარი კულტურა, ენა, ისტორია, სამშობლო, ოჯახები, ეკლესიები, რომ უკრაინა აღარ არსებობს... ომის პირველ დღეებში რთული იყო იმის გარკვევა, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები. უკრაინელებმა შეაჩერეს რუსების წინსვლა. მათ რუსებს უკან დაახევინეს კიევ-იდან, ხარკოვიდან, ჩერნიგოვიდან, სუმიდან, ოდესიდან», - განაცხადა ვოლკერმა. მისი თქმით, ახლა რუსეთი ცდილობს, ნელ-ნელა დაამყაროს კონტროლი აღმოსავლეთ უკრაინაზე და დაიცვას დაკავებული ტერიტორიები, მაგრამ უკრაინა ამას არასოდეს შეეგუება.



ამიხან ვოლკერი

«ომი ძალიან აზიანებს უკრაინას. ქვეყანა ყოველდღიურად იბომბება. მჭერა, უკრაინელები ამას გაუძლებენ. აშშ, გაერთიანებული სამეფო და სხვა ქვეყნები უკრაინას კიდევ უფრო მეტი შეიარაღებით მოამარაგებენ. ვფიქრობ, ივლისში ან აგვისტოში რუსეთი დაიღვება, მას არ ექნება წინსვლის შესაძლებლობა. მისი სამხედრო შესაძლებლობები დასუსტდება. როდესაც ეს მოხდება, უკრაინელებს შეეძლებათ კონტრშეტევების განხორციელება. ალბათ, ეს თვეების განმავლობაში გაგრძელდება და ეს იქნება ძალიან რთული ბრძოლა უკრაინელებისთვის. უფრო ფართო სურათს თუ შევხედავთ, უკრაინამ უკვე მოიგო ომი», - განაცხადა ვოლკერმა.

უხსნათი

თურქეთს აქვს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შეშფოთება ფინეთისა და შვედეთის ნატოში გაწევრიანების თაობაზე და ეს შეშფოთება ლეგიტიმურია, ვინაიდან ეხება ტერიტორიის და იარაღის ექსპორტს, - განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ფინეთის პრეზიდენტ საული ნინისტოსთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე. როგორც მან აღნიშნა, თურქეთი ალიანსის მთავარი მოკავშირეა მისი სტრატეგიული მდებარეობის გამო შავ ზღვაზე - ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს შორის. «უნდა გავსოვდეს და გავიგოთ, რომ ნატოს არცერთ მოკავშირეს არ განუცდია იმაზე მეტი ტერიტორიული თავდასხმა, ვიდრე თურქეთს», - დასძინა სტოლტენბერგმა. ალიანსის თავაკცის თქმით, თურქეთთან მოლაპარაკებები გაგრძელდება, მაგრამ არის თუ არა ამ მხრივ პროგრესი, არ დაუკონკრეტებია.

«ყველა ომი მთავრდება ცივილის შეწყვეტით და მოლაპარაკებებით და აუცილებელია, რომ უკრაინამ ამ ფაზასთან მიახლოება ძალის პოზიციიდან მოახერხოს, რათა რუსეთმა ვეღარ შეძლოს იმ ტერიტორიების ოკუპირება, რომლებიც 24 თებერვლის შემდეგ აქვს მიტაცებული და ოკუპირებული», - ამის შესახებ ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ჯოზეფ ბორელმა განაცხადა. მისივე თქმით, რუსეთთან თანაარსებობა ძალიან რთული იქნება იმ ყველაფრის შემდეგ, რაც ამ ქვეყანამ გააკეთა უკრაინაში, თუმცა საჭიროა იმ გზის განსაზღვრა, რომლითაც ევროპა გვემავს მასთან თანაცხოვრების გაგრძელებას.

რუსეთმა, უკრაინაში ომის პირველი 100 დღის განმავლობაში, წააღიარებული საწვავის ექსპორტის გზით 93 მილიარდი ევრო გამოიმუშავა, - ამის შესახებ ენერჯისა და სუფთა შაერის კვლევის ცენტრის მოხსენებაშია აღნიშნული. მისივე ინფორმაციით, რუსეთიდან ექსპორტირებული წააღიარებული საწვავის 61% ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის, რომლის საერთო ღირებულება 57 მილიარდი ევროს შეადგენს. ამასთან, სექსპორტო საშუალო ფასი გასულ წელთან შედარებით 60%-ით მაღალია. ენერჯისა და სუფთა შაერის კვლევის ცენტრის ცნობით, აღნიშნულ პერიოდში რუსული წააღიარებული საწვავის ყველაზე მსხვილი იმპორტიორები იყვნენ ჩინეთი (12,6 მილიარდი ევრო), გერმანია (12,1 მილიარდი ევრო) და იტალია (7,8 მილიარდი ევრო).

ჩინეთი ბოლომდე იბრძოლებს ტაივანის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესაჩერებლად, - განაცხადა ჩინეთის თავდაცვის მინისტრმა ვეი ფენმა მას შემდეგ, რაც აშშ-ის თავდაცვის მდივანმა ლოიდ ოსტინმა ჩინეთი ტაივანის კუნძულთან ახლოს პროგნოზირებული და დესტაბილიზაციის გამოწვევს სამხედრო აქტივობები დაადანაშაულა. «მათ, ვინც ჩინეთის გაყოფის მცდელობით ტაივანის დამოუკიდებლობას ესწრაფვიან, ნამდვილად არ ექნებათ კარგი დასასრული. სათანადოდ უნდა შეფასოთ ჩინეთის შეიარაღებული ძალების გაბედულება და უნარი, დაიცვას თავისი ტერიტორიული მთლიანობა», - აღნიშნა ვეი ფენმა.

მომხადა
და შველიამ

„ჩვენ არაფერს დაუმსახურებელს არ ვითხოვთ, ჩვენ ვითხოვთ დამსახურებულ სტატუსს“

„თუ ვინმეს ეკუთვნის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, ეკუთვნის საქართველოს და შემდეგ უკვე უკრაინას და მოლდოვას. რომ ამბობენ, უკრაინა ომშია და ამის გამო მას უნდა მიენიჭოს, უკაცრავად, თუ ომით განისაზღვრება სტატუსის მინიჭება, ჩვენ ომი არ გვინდა, ჩვენ ვითხოვთ დამსახურებულ სტატუსს!“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ირაკლიმ კახიანიამ გუშინ გამართულ მთავრობის სხდომაზე.



ჩვენ არაფერს ველოდებით, რომ ამ მიმდინარეობის მიხედვით ვუსწრებთ უკრაინას, მოლდოვასაც, აღარ მაქვს საუბარი აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებზე და არამხოლოდ. მათ შორის ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ვუსწრებთ ძალიან ბევრი მიმართულებით. თუ ეს ყველაფერი ვიცით, რა განცდაზე არის საუბარი? ე.ი. ამბობენ, რომ განცდა აქვთ, თითქოს აქ არ არის დამოუკიდებელი სასაბაბოლო, რაც სრული აბსურდია. თურმე დიდიხანა ვსწავლობდით აქვს პრობლემა. აფეროპულ სახალხო პარტიას“ მინდა შევახსენო, რომ 2012 წლამდე მათი შვილო-

ბილი თუ პარტნიორი პარტიის მმართველობის დროს ქვეყანაში დემოკრატიის არავითარი ნიშანწყალი არ არსებობდა, არც თავისუფალი მედია, ოპოზიციური პარტიები ზეწოლის ქვეშ იყვნენ“, - განაცხადა ღარიბაშვილი. მან „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილიც ასხენა და აღნიშნა: „რომ არ მოსულიყო ის ხელისუფლებაში, დღეს ქვეყანა აღარ გვექნებოდა, რადგან იქნებოდა ომში ჩართული. აქ მოაწყობდნენ მეორე მართებულს. ვინ შეეწირებოდა ამ სივრცეს და სისულელეს? რაც გააკეთეს 2008 წელს, ჩვენ გვხსოვს, გვხსოვს მიწაზე გართმული მთავარსარდალი, სამარცხვინო სახე ჩვენა მთელ მსოფლიოს. ვინ დაიღუპა და განადგურდა? დავკარგეთ ტერიტორიები, 100-ზე მეტი დაკარგული სოფელი და ათათასობით დევნილი მივიღეთ ჩვენსავე ქვეყანაში. ეს არის უპასუხისმგებლო პოლიტიკის გაგრძელება, რომელიც მათ დაიწყეს... გამოდიან და ამბობენ: თუ არ მივიღებთ კანდიდატის სტატუსს, ეს იქნება მთავრობის პასუხისმგებლობა. არავითარ შემთხვევაში, მთავრობამ გააკეთა მაქსიმუმი, დანარჩენი არის სამუშაო პროცესი.“

მოამზადა ანაბ ჩხიშკაძემ

კლენარული სხდომა, რომელზეც ჯაბა ფუტყარაძეს მოუსმინეს, თითქმის 10 საათს გაგრძელდა

ხატია იაშვილი 591 98 24 26



აჭარის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე კლენარული სხდომა აჭარის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვით დაიწყო. ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტყარაძემ ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების, რეგიონისთვის მნიშვნელოვანი პროექტებისა და პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოადგინა და აღნიშნა, რომ მიუხედავად პანდემიისა, შარშან აჭარაში არც ერთი პროექტი არ შეჩერებულა. ამასთან, მისი განცხადებით, 2021 წელს დაწყებული პროექტების ნაწილი წელსაც გრძელდება.

შემოსავლები 11 699 300 ლარით შესრულდა. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით სხვა შემოსავლების ფაქტობრივი შესრულება 1 047 700 ლარით, 9,8 პროცენტითაა გაზრდილი.

„მინისტრის საათის“ ფორმატში, ჯაბა ფუტყარაძემ სამინისტროს სამუშაო შედეგებს და ყველა განხორციელებულ თუ წელს განსახორციელებელ პროექტზე ისაუბრა. რაც შეეხება სოციალურ პროექტებს, მისი თქმით, უკვე დასრულებულია ე. წ. ოცნების ქალაქის პირველი ეტაპის მშენებლობა და იწყება მეორე ეტაპი. მინისტრმა აღნიშნა, რომ ყველა მოქალაქეს, ვისაც ნამდვილად ეკუთვნის ბინა, გადაეცემა, კრიტერიუმს კი კომისია შეაფასებს.

მინდა მოვახსენოთ, რომ ბათუმში, ქედასა და ხელვაჩაურში აშენდა სოციალური სახლები. სასახაროლო ისაა, რომ სოფელ წაბლანაში მცხოვრებ 219 ეკომიგრანტ ოჯახს ბათუმში ბინები უკვე გადაეცა. ეს პროცესი არ შეჩერდება. ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 365 ეკომიგრანტმა ოჯახმა სახელწიფოს დახმარებით საცხოვრებელი შეიძინა. ბათუმში 100 ოჯახისთვის სოციალური სახლები იქნება და 2000-ზე მეტ ოჯახს ფინანსური დახმარება გაეწია. გაიზარდა ეკომიგრანტთა და ხანძარი დაზარალებული ოჯახების დაფინანსება. დაიწყო „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის განხორციელება - 3000 ოჯახს საცხოვრების პრობლემა მოუგვარდება. 15 000-მა ბენეფიციარმა სოციალური პროგრამებით უკვე ისარგებლა. რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებს აჭარაში, სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, 70 მლნ ლარის ღირებულების სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტს აჭარის პროექტების მართვის კომპანია“ ახორციელებს. აშენდა ბათუმის საფეხბურთო სტადიონი, ასევე, ბათუმის

სპორტული კომპლექსი. დასკვნით ეტაპზე ჩაქვეშა ძალისხმობის სავარჯიშო ბაზის მშენებლობა. აღსანიშნავია, რომ აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს სტადიონების, რაგბის მოედნების მშენებლობა. შუაგეგმაში FIFA-ს სტანდარტის საფეხბურთო სტადიონი მშენდება, ასევე, აჭარაში მოეწყო 100 სპორტული მოედანი, დაიწყო ხულოში სპორტული დარბაზის მშენებლობა, იწყება ქობულეთში სპორტული კომპლექსის მშენებლობა, ხოლო შუახევსა და ქობულეთში რაგბის მოედნები აშენდება, - აღნიშნა ჯაბა ფუტყარაძემ.

აჭარის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე კლენარული სხდომა თითქმის 10 საათს გაგრძელდა. ოპოზიციური პარტიის დეპუტატების შეფასებით, 2021 წლის ბიუჯეტი ვერ შესრულდა.

2021 წლის აჭარის ბიუჯეტი ვერ შესრულდა, შესაბამისად თანხა დააკლდა სოციალური და დაცველობის, სკოლის მოსწავლეებს, ტურიზმს, ზემოთიანი რაიონის გაზიფიკაციას, ერთადერთი, რაც შეასრულეს, ბიუჯეტის სახელფასო ნაწილია. ყველა ნორმალურ ქვეყანაში მთავრობა, რომელიც ვერ ასრულებს ბიუჯეტს, უნდა გადადგეს. როცა ბიუჯეტის შეუსრულებლობაზე, ნუგზარ ფუტყარაძის მოსყიდვასა და გარდაცვალებაზე, ხულოზარზმის გზის დაუსრულებელ მშენებლობაზე, ბუღვარში „ამბასადორის“ 3-ე 4-სართულიანი, შემდეგ 16-სართულიანი, შემდეგ 19-სართულიანი, ამის შემდეგ კი 22-სართულიანი შენობის ასაშენებლად გაცემულ ნებართვაზე, სასფლავოს მშენებლობაზე მოპარულ 3 მილიონ 400 ათას ლარზე, ნაპირგამაგრებით სამუშაოებზე მოპარულ 110 მილიონზე, რიუვაძის და ჩიქოვანის თანხმობით შემოღობული ტერიტორიის წყალმომარაგება-კანალიზაციისთვის გამოყოფილი 60 მილიონი ევროს ამოღებაზე პასუხი არ გაქვს, რა თქმა უნდა, გადადის არანდამდგარ-ინტენსივობაზე. ამის შემდეგ ირთვება ე. წ. მაველი მექანიზმი, ყველაფრის გადაბარებისა წინა ხელისუფლებაზე. რამდენიმე ჩემი კოლეგა ამ „საქმით“ დაკავებული. მიყვები თანმიმდევრობით: 1. ტიტე აროშიძე - აქ არ გავამახვილებ ყურადღებას რიუვაძის უზრუნველბის „გაპარაგებაზე“. მან აღნიშნა, რომ გადიოდა ოზთურქმა 2010 წელს შეიძინა ტერიტორია 2 მილიონ ლარად, მაგრამ არ ამბობს, რომ ეს ტერიტორია საერთოდ აუთვისებელი იყო და გადაცემული იყო ვალდებულებით ავტოსადგურის და

სავაჭრო ცენტრის ასაშენებლად. მიზანი იყო, ბათუმში არ ყოფილიყო ყოველ ფეხის ნაბიჯზე ე. წ. ავტოსადგურები, რაც მოგსწერო კიდევაც და ვინც ყოფილხართ იქ, ნახავთ, რომ არცერთი ავტობორტის ტერმინალს არ ჩამოუვარდება ეს-თემიკით, აღჭურვილი და კომფორტით. ამ მიყიდვის მიზანი, ასევე, იყო გარეგარეობის მთლიანად გადასვლა კომფორტულ და კეთილმოწყობილ სავაჭრო ცენტრში. მთავარი მაინც ის არის, ვერც გალიფ ოზთურქი და ვერც სხვა ვინმე გაბედავდა ასე უფლებდელი კანონი. სავაჭრო ცენტრის გადგენილება გააუქმეს, რა თქმა უნდა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების დროს და შედეგად მივიღეთ უკანონოდ აშენებული 12 ყაზარმა რიუვაძისა და ჩიქოვანის ხელშეწყობითა და წყურუბით. თუ ჩატომ, თავად განსაჯეთ. 2. დავით ბაციკაძე - ამბანადორის მიერ შუა ბუღვარში მშენებარე 22-სართულიანი შენობაზე ნებართვის გაცემას ხსნის იმით, რომ თითქოს არსებობდა წინა ხელისუფლების მიერ აღებული ვალდებულება, მალოივი შენობის აშენების. ეს, სხვათა შორის, მთავრობის თავმჯდომარემა გაიმეორა ჩვენ მიერ დასმულ შეკითხვაზე. შემდეგ, როცა მოვთხოვე ამ დოკუმენტის მოწოდება ან საჭაროდ გამოქვეყნება, რა თქმა უნდა, გადავიდა ლანდგა-გინებაზე, რადგან ასეთი დოკუმენტი ბუნებაში არ არსებობს და ვერც იარსებებდა. ამ ფონზე დავით ბაციკაძის მსჯელობა, თითქოს თუ რიუვაძე არ მისცემდა ნებართვას, ხელისუფლება წააგებდა დავას არბიტრაჟში, 150 თუ 80 მილიონ ლარს (ასე აღნიშნა ბატონმა დავით ბაციკაძემ) და რომ იმდენად წუხს, მზად იყო, გადაეხადა ეს თანხა, ოღონდ არ აშენებულიყო ეს შენობა, ტყუილზე დაშენებული მსჯელობა და ნინავის ცრემლებია და მიზანი ამ უმსაგავსობის „გაპარაგების“ უსუსური მცდელობაა. დავა ვერ იქნება იმ საკითხზე, რაც ბუ-

ნებაში არ არსებობს. ბათუმელები ღირსნი არიან, იცოდნენ სიმართლე“, - აღნიშნა უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - გაერთიანებული ოპოზიციის „ძალა ერთობაშიას“ წარმომადგენელმა ლევან ანთაძემ.

მინისტრის მოხსენების დროს, სხვა კითხვებთან ერთად, ყურადღება გამახვილდა ბათუმის ნავაგასპირელის მშენებლობის დასრულებაზე, მაღალმთიანი აჭარის გაზიფიკაციის პრობლემაზე, წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფაზე, რაზეც ჯაბა ფუტყარაძემ ამომწურავად ისაუბრა. მისი თქმით, მყარი ნარჩენების მართვის პროექტის პირველი ეტაპი ქობულეთში უკვე დასრულებულია. 28 მილიონი ევროთი დაფინანსდება ცენტრალური ნავაგასპირელის ტექნიკური აღჭურვა, ამასთან, დაიხორება ბათუმის არასტანდარტული ნავაგასპირელი და აშენდება შუალედური გადამცვლილი სადგური.

ცნობისათვის: მყარი ნარჩენების მართვის პროექტის მთლიანი საინვესტიციო ღირებულება 7 მილიონი ევროა, საიდანაც 3 მილიონი ევროსი განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის (EBRD) მიერ გამოყოფა, ხოლო 4 მილიონი ევრო გრანტის სახით შევდეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) მიერ ფინანსდება. რაც შეეხება მაღალმთიანი აჭარის გაზიფიკაციის პროექტს, როგორც მინისტრმა თქვა, ეს დამოუკიდებელია გოგინძრის გზის მონაკვეთის მშენებლობაზე, რადგან ეს ორი სამუშაო თანხვედრაშია. მინისტრმა აღნიშნა, რომ ძირითადი სამუშაოები დასრულებულია და დასრულებულია სამუშაოები, საგარაუდოდ, წელს მოესწრება.

კლენარული სხდომაზე აჭარის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა დეპუტატებს მათთვის საინტერესო ყველა კითხვაზე ამომწურავად უპასუხა. სხდომის ბოლოს საკანონმდებლო ორგანოს თითქმის სრულმა შემადგენლობამ სამასხვორო ფორტო გადაიღო.

საქსტატის ცნობით...

ამა წლის იანვარ-მაისში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 6 913.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 37%-ით მეტია. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციის თანახმად, აქედან ექსპორტი 2 091.9 მლნ აშშ დოლარი იყო (36,2%-ით მეტი), ხოლო იმპორტი - 4 821.4 მლნ აშშ დოლარი (37,3%-ით მეტი).

უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2022 წლის იანვარ-მაისში 2 729.5 მლნ აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 39,5 პროცენტით შეადგინა.

აიორან ბურიმიძე



„ერთ-ერთი პროგრამატი ცენტრის ღონისძიებებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების ჩართულობა“

ნათია იხნაიშვილი 27 48 93

ახალგაზრდობა საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელმაც ცვლილებებისა და განვითარების პროცესში არა უბრალოდ მონაწილის როლი შეიძლება ითამაშოს, არამედ თავად იქცეს გარდამტეხი პროცესების ინიციატორად. ამდენად, მნიშვნელოვანია მათი მხარდაჭერა. სწორედ ამაზე ზრუნავენ ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში. ისინი მუდამ დგანან ახალგაზრდების პიროვნული და ინტელექტუალური განვითარების სადარჯოზე



ღონისძიებებისა და პროექტების შესახებ ვრცლად ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელი ნატა ხინაილაძე გვსაუბრა.

- ქალბატონო ნატა, სიახლეებით დავიწყეთ, როგორც ვიცით, ძალიან ბევრი მიმდინარე პროექტია ახალგაზრდობის ცენტრში...

- ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის მიერ ორგანიზებული ღონისძიებები, გარდა იმისა, რომ მორგებულია ახალგაზრდების საჭიროებებსა და ინტერესებზე, მორგებულია სეზონზეც. ყოველწლიურად ვცდილობთ, შევადგინოთ ე.წ. სეზონური კალენდარი და ახალგაზრდობთან ერთად დაგვეგმოს ის აქტივობები, რომლებშიც მონაწილეობაც სასწავლო თუ არადადგების პერიოდში მათთვის ხელსაყრელი იქნება. ამჟამად, ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი ინიციატივები ხორციელდება, რომლებიც იანვარში დავიწყეთ და სექტემბრის ბოლომდე გაგრძელდება. ეს დროც ახალგაზრდობთან შეთანხმებით შეირჩა. ინიციატივები საკმაოდ მრავალფეროვანია: მოიცავს გარემოს დაცვას, წიგნიერების და სამოქალაქო ცნობიერების ამაღ-

ლებას. ასევე, მიმდინარე სეზონზე გვეგმავთ წამახალისებელ ექსკურსიას, ეკობანაკს, შემეცნებით ტურსსა და ლაშქრობას, რაც ახალგაზრდობში ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესს, გაეცნობიან საკუთარი ქვეყნისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობებს, თავიანთ სოფელში არსებულ ისტორიულ ძეგლებს და თანატოლებსაც გაუზიარებენ ინფორმაციას თავიანთი თემის შესახებ.

- რა მიმართულებებზე აკეთებთ ძირითად აქცენტს?

ყველა მათგანს, შეიძლება ითქვას, სხვადასხვა პრობლემა აქვს: ასაკობრივი შეზღუდვა გარკვეულ პროგრამებში და სამუშაოს შესასრულებლად, რაზეც, ძირითადად, მზარდები საუბრობენ, დასაქმების სურვილი სწავლის პარალელურად და დროის სწორად განაწილება, პროფესიული გამოცდილების დაგროვების სურვილი - სტუდენტებისთვის, დატვირთული გრაფიკი - დასაქმებულებისთვის და ა.შ.

ლებას, არასრულწლოვნებში დანაშაულის პრევენციას, პატრიოტიზმის გაღრმავების მიზნებს. პროექტები, სწორედ, თემის აქტიურობის, მდგრადობის, მასშტაბურობის გათვალისწინებით დაფინანსდა და მასში სხვა-

- ღონისძიებათა დაგეგმვისას აქცენტი კეთდება ჩართულობის თვალსაზრისით თანაბარი შესაძლებლობის შექმნაზე, ასევე, მათ ინტერესებსა და საჭიროებებზე. მაგალითად, შესაძლოა, გვქონდეს კარგი იდეა, ან გვსმენია



დასხვა სოფელში მცხოვრები საკმაოდ ბევრი ახალგაზრდა ჩაერთო. გარდა აღნიშნულისა, ცენტრში ტარდება ყოველკვირეული აქტივობები: ლიტერატურული განხილვები, კინოჩვენებები, ინტელექტუალური თამაშები, რაც აქტიურობას არ კარგავს ახალგაზრდებში. სწორედ ამის გათვალისწინებით, გასულ თვეში ჩვენ დავიწყეთ ინტელექტუალური მართონების ორგანიზება სხვადასხვა თემში, ღია ცის ქვეშ. საერთო ჯამში, მასში უკვე ჩაერთო 100 ახალგაზრდა. თამაშის ბოლოს ფასიანი საჩუქრებიცაა წავახალისეთ. ვინაიდან აღნიშნულმა იდეამ დააინტერესა ახალგაზრდები და დროის თვალსაზრისითაც ხელსაყრელი აღმოჩნდა მათთვის მონაწილეობა, ვგეგმობთ მართონების ჩატარების გაგრძე-

კარგი პროექტის შესახებ, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია სხვა ქვეყანაში, მაგრამ ამ ეტაპზე ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის იყოს ნაკლებად პრიორიტეტული. ასეთ შემთხვევაში, ვცდილობთ განვახორციელოთ ის, რაც მათ აინტერესებთ, სჭირდებათ განვითარებისთვის, სადაც სურვილით ჩაერთვებიან და არა - თხოვნით. ლიტერატურული განხილვების ნაწილი, მიმდინარე პერიოდში, მოვარგეთ აბიტიურების საჭიროებებს, რომლებმაც მითითებები მიიღეს მოწვეული პროფესორებისგან, დაესწრნენ განხილვებს და კიდევ ერთხელ გააღრმავეს ცოდნა იმ საკითხებში, რაც ეროვნული გამოცდილების პროგრამითაა გათვალისწინებული.

- რამდენად აქტიურობენ ახალგაზრდები?

- ახალგაზრდების დაინტერესება და ჩართულობა საკმაოდ მაღალია. პანდემიის დროს, იზოლაციის პერიოდშიც კი ესწრებოდნენ ონლაინტრენინგებს, მონაწილეობდნენ ონლაინაქტივობებში. ჩვენც შესაბამის აქტივობებს ვგეგმავდით. ერთ-ერთ პრიორიტეტში, ახალგაზრდობის ცენტრის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების ჩართვა და ინკლუზიის ხელშეწყობაა. უზრუნველყოფთ ტრანსპორტირებას ღონისძიებებზე და გუნდურ, მრავალფეროვან აქტივობებს ვთავაზობთ ყველა მონაწილეს, რათა მათი სურვილის შესაბამისად აქტივობის არჩევის შესაძლებლობა ჰქონდეთ.

- შეგიძლიათ დაასახელოთ წელს განხორციელებული ერთ-ერთი პროექტი, რომელიც სიახლე იყო ცენტრისთვის?

- ერთ-ერთი, რამაც დიდი დაინტერესება გამოიწვია ახალგაზრდებში, იყო საკვირაო

ფეროვანი სანახაობით. ახალგაზრდების თხოვნაა, ეს პროექტი სამომავლოდ გავაგრძელოთ.

- როგორ ფიქრობთ, რა გამოწვევების წინაშე არიან ახალგაზრდები?

- გამოწვევებზე, ალბათ, თავად უფრო ისაუბრებენ, თუმცა შეგვიძლია დავყოთ მათი სტატუსის გათვალისწინებით - მოსწავლეების, აბიტიურიენტების, სტუდენტების, დასაქმებულების... ყველა მათგანს, შეიძლება ითქვას, სხვადასხვა პრობლემა აქვს: ასაკობრივი შეზღუდვა გარკვეულ პროგრამებში და სამუშაოს შესასრულებლად, რაზეც, ძირითადად, მზარდები საუბრობენ, დასაქმების სურვილი სწავლის პარალელურად და დროის სწორად განაწილება, პროფესიული გამოცდილების დაგროვების სურვილი - სტუდენტებისთვის, დატვირთული გრაფიკი - დასაქმებულებისთვის და ა.შ.

- რას აკეთებს ახალგაზრდობის ცენტრი იმისთვის, რომ ამ გამოწვევებს ახალგაზრდები მარტივად გაუმკლავდნენ?



სკოლა - იბოვე შენი მომავალი პროფესია“. სკოლა საკმაოდ მრავალფეროვანი ღონისძიებებით იყო დატვირთული, ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები ფსიქოლოგებთან, მოეწყო საინფორმაციო ტური, რომლის ფარგლებში ახალგაზრდები იმყოფებოდნენ იურიდიულ და ფსიქოლოგიურ დაწესებულებებში, სამედიცინო მიმართულების კლინიკებში, დაათვალიერეს სასამართლო-საინფორმაციო დარბაზი, კრიმინალისტიკის სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორია, სინქრონიული თარგმანის კაბინეტი, იმუნოლოგიის, ფიზიკის, ასევე, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიები და გაეცნენ მათი მუშაობის სპეციფიკას. ახალგაზრდებმა ბსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს სადემონსტრაციო ცდებსა და სხვადასხვა ნივთის დამზადებაში. საკვირაო სკოლის მონაწილეები შეხვდნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიან-

- გამოწვევების მარტივად დასაძლევად, სირთულეებთან გასამკლავებლად და მომავლისთვის მოსამზადებლად მათ სხვადასხვა პროექტში ჩართვას ვთავაზობთ, რაც ხელს შეუწყობს უნარების, შესაძლებლობების, მიდრეკილებების შესაბამისად განვითარებაში, ასევე იმ კუთხით, რომ იყენენ კონკურენტუნარიანი, აქტიური ახალგაზრდები და იდეები აქციონ პროექტად, ხოლო პროექტი საქმედ.

- დაბოლოს, ხელვაჩაურის ახალგაზრდებს რომ მიმართოთ, რატომ უნდა შემოუერთდნენ ისინი თქვენს ცენტრს?

- ახალგაზრდებს მინდა მივმართო სიყვარულით და მოვუწოდო, გაუწვიანდნენ ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის დიდ ოჯახში, იყვნენ აქტიურები და შემოუერთდნენ იმ გარემოს, სადაც ბევრი ახალი მეგობარი, საგანმანათლებლო, შემეცნებითი, წამახალისებელი აქტივობა ელოდებათ, უკეთ გაიაზრო-



ებს და მათგან მიიღეს პასუხები იმ შეკითხვებზე, რომელიც დაეხმარება გადაწყვეტილების მიღებაში პროფესიის არჩევის კუთხით. საინფორმაციო შეხვედრები დატვირთული იყო პრაქტიკული აქტივობებით და მრავალ-

ონ საკუთარი მიდრეკილებები, დაგვემონ და განახორციელონ ღონისძიებები, აღმოაჩინონ ახალი შესაძლებლობები ჩვენს ცენტრთან ერთად. ჩვენი მხრივ, მზად ვართ, ხელი შევუწყეთ მათ ამასში.



საგვარეულო შეკრება - ხინოწინდაში

ტაკიძეთა გვარის წარმომადგენლები აჭარაში, გურიაში, თბილისსა და ქვემო ქართლში სახლობენ. ოცამდე სხვა გვართან ერთად, მათ, ერთ დროს დირსეული წარმომადგენლები ჰყავდათ ხინოწინდის საეპისკოპოსოში, რომელსაც ადგილის დედად მიიჩნევენ ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ტაკიძეები

მე-20 საუკუნეში ხინოწინდის საეპისკოპოსოს, აქ მცხოვრებთა გმირობასა და თავდადებას მხატვრული ნაწარმოები მიუძღვნეს ემენ დავითაძემ და შაქრო რომანაძემ (აჭყვასთაველმა). უკვე სამზეოზეა მწერალ დავით ქათამაძის რომანი «ხინოწინდელი ნატო».

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II, ბათუმ-ლაზეთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის მიტროპოლიტ დიმიტრის ლოცვა-კურთხევით, რამდენიმე წლის წინ დაიწყო და გრძელდება ხინოწინდის საეპისკოპოსოს ტერიტორიის რესტავრაცია, რომლის აღდგენა-გამოცოცხლებაში საპატიო წვლილი შეაქვთ საქართველოში, გამოჩენილად აჭარაში მცხოვრებ ცალკეული გვარების წარმომადგენლებს, ბიზნესმენებს, ქველმოქმედ ადამიანებს. თავის დროზე ცნობილი ბიბლიოფილის, ქველმოქმედი მამია ხარაზის შთამომავლებმა და ახლობლებმა სამონასტრო კომპლექსს სამლოცველო და სხვა ნაგებობა შემატეს. აჭარაში მცხოვრები ქათამაძეების გვარის წარმომადგენლებმა - წაბლის ხით ნაშენი სამლოცველო, რომლის შესასვლელ კარებზე დატანებულია უძველესი ქრისტიანული სამლოცველოებისთვის დამახასიათებელი მოხატულობა. მეუფის რეზიდენცია უწოდეს თავიანთ ნაგებობას ვერულიძეებმა, გოგითიძეები სამლოცველოს აწინებენ.

ხინოწინდის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსის წინამძღვრის მოსაწვევებელი უბოძეს აქაურობას ტაკიძეებმა. ეს იდეა კინტრიშის ხეობის ისტორიულ ტერიტორიაზე - თალოვანი ხიდის მიმდებარედ ჩატარებულ შეკრებაზე დაიბადა.

იყო წლები, როცა ტაკიძეთა გვარის წარმომადგენელი ქობულეთის რაიონის პირველი პირი იყო. დამოუკიდებელი საქართველოს აქტზე ხელმოწერითა შორის ტაკიძის გვარიცაა. დღეს ამ გვარის წარმომადგენლები სხვადასხვა სფეროში საქმიანობენ. ომარ ტაკიძე შუახევის მუნიციპალიტეტის მერია, კახა ტაკიძე - პოლიციის ორგანოების პოლიკენიკი, გვარის ეთნარქი რეზო ტაკიძე ჟურნალისტიკიდან კულტურის სფეროში გადავიდა, წარმატებული ჟურნალისტიკა მანანა ტაკიძე, ცნობილი ბიზნესმენები არიან ლევან, მიხეილ ტაკიძეები (ეს უკანასკნელი უცხოეთში საქმიანობს), შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეა მალხაზ ტაკიძე, იუმორით გამოჩენილები იყვნენ ბრილელი მუსხაშვილი (ციხე) და რეჯებ ტაკიძეები, დირსეული აღმზრდელის, საჯარო მოსამსახურის სახელი დატოვა წუთისოველში ტაკიძეებ-

ლმა ლევან ტაკიძემ. მისი შვილები იაგო და ვერიკო ცნობილი ექიმები არიან...

სულთმოფენობის დღეს - 12 ივნისს ტაკიძეებელთა გვარის წარმომადგენლები ხინოწინდაში შეიკრიბნენ. ისინი ხინოწინდის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსის წინამძღვრის ილუმენ ევდემოზის მიერ აღვლენილ წირვა-ლოცვას დაესწრნენ, მოინახულეს მათი და სხვა გვარების ქველმოქმედებით აგებული სამლოცველოები, VIII საუკუნეში აგებული და მე-20 საუკუნის დასაწყისში იავარქმინ-

პარლამენტარ ანზორ ბოლქვაძის თანადგომით, მდინარე კინტრიშზე ახალი ხიდი გაკეთდა, რომლის საზეიმოდ გახსნის პატივი ტაკიძეთა გვარის წარმომადგენლებს და ილუმენ ევდემოზს ერგო.

- ეს ხიდი იმ ვიზიტორებსაც წაადგებათ, რომლებიც ხინოდან თავიანთი, ხინოილის, ჯვარიმინდორის გადმოვლით, შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გვესტუმრებიან. ტურისტული სააგენტოები მარშრუტის მონივნით, ტურისტული ბილიკების, ჯვარიმინდორის

«აჭარასთან» კომენტარი ილუმენმა ევდემოზმა გააკეთა:

- ხინოწინდის სამონასტრო კომპლექსის გამოცოცხლება, წმინდა ადგილებისადმი ერთგულება, ქრისტის რჯულის თავიანთი ცემა, ერთი გვარის, ერთი მუნიციპალიტეტის საქმე აღარაა. გვიხარია, რომ დროის მოკლე მონაკვეთში მრავალ სახლს დავედეთ სათავე. აქ ვალის მოხდის მიზნით არაფერი კეთდება. ადამიანები მოსალოცად, ქრისტის რჯულთან საზიარებლად მოდიან. კომპლექსისგან მოშორებით ტბა გვაქვს.



ლი სამონასტრო კომპლექსის ტერიტორია. ილია II, მიტროპოლიტ დიმიტრის, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის თეა წულუკიანის, აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიჟვაძის ჩართულობით, აქ ახალი კომპლექსის მშენებლობა დაიწყო.

VIII საუკუნიდან მოყოლებული ხინოწინდის საეპისკოპოსო ძლიერი, მრევლთმრავალი სამლოცველო იყო. ის XVIII საუკუნეში ოსმალო დამპყრობლებმა გადაწვეს. დარჩენილ ქვის კედლებს ხინოელები პატივს მიაგებდნენ. მე-20 საუკუნის დასაწყისში ვინმე ტარიელაძემ, ლაზი ოსტატები დაიჭირა, კომპლექსის კედლები დინამიტით ააფეთქა და საცხოვრებელი სახლის მშენებლობა წამოიწყო. ამის შემყურე ლაზი ოსტატები ხინოდან გაპარულან, თავად მშენებლობის წამომწყები კი მდინარე კინტრიშში დამხრჩვალა.

ხის ხიდი ყოფილა საკომუნიკაციო საშუალება მდინარის ორივე ნაპირზე მცხოვრები ხინოელებისთვის. ქველმოქმედების, უცხოელი დონორების, ქველმოქმედების, მათ შორის

ტერიტორიაზე ობიექტების მოწყობა-მშენებლობით არიან დაკავებული. ხინოწინდაში პირველად ვარ, შეუდარებელია კინტრიშის ხეობა. მარჯვენა დაელოცით იმ ადამიანებს, ვინც აქაურობის გამშვენიერების, კეთილმოწყობის სათავეებთან დგას. ამიერიდან ხინოს სშირი სტუმარი ვიქნები და დაწყებული საქმეების წარმატებით დასრულებაში პირად წვლილსაც შევიტან, - გვითხრა შუახევის მერმა ომარ ტაკიძემ. ილუმენმა ევდემოზმა, ტაკიძეების გვარის ეთნარქმა რეზო ტაკიძემ ხინოწინდაში მისულ 150-ზე მეტ თანამოგვარეს ტრაპეზი გაუმართეს. წინაპრების წარმოჩენისა და ხინოწინდის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსის წინაშე გაწეული უანგარო ღვაწლისა და ერთგულებისთვის ილუმენმა ევდემოზმა, რეჯებ და ომარ ტაკიძეებმა 42 თანამოგვარეს სიგელები გადასცეს.

- სიგელი და ჯილდო ყველას ეკუთვნის, - გვითხრა კახა ტაკიძემ, - დღეს აქ ერთსულოვნებამ მოგვიყვანა. ხინოწინდაში ჩვენი გმირი წინაპრების სულები გვიხმობენ.

იგი სწმინდესთან, წარსულ დიდებასთან ზიარების სიმბოლოა. წელიწადის ნებისმიერ დროს ტბაში წყლის ღონე ერთნაირია. ვინც მასთან შეხება დააპირა, უფალმა უმაღლეს სამაგიერო მიუზღო. ხინოწინდა უფლისგან დალოცვილი ტერიტორიაა. ქვეყნის დირსეული ადამიანების თანადგომის დასტურია იავარქმინი კომპლექსის ნანგრევებზე ახალი ტაძრის მშენებლობა. ხინოში საცხოვრისი კეთილმოწყობა შალვა მსახურაძემ. ბერიძეთა გვარის ერთი შთამომავალი მუღდივად დამკვიდრდება. კინტრიშის ნაკრძალის დაცულ ტერიტორიაზე გამოცხადებამ ფლორა და ფაუნა, ბუნების მშვენიერება შეგვინარჩუნა. ჩვენი ვალია ვილოცოთ ამ უძველეს და ისტორიულ ტერიტორიაზე ქართული სულის დასამკვიდრებლად, ძირძველი მრწამსისადმი ერთგულების გამოსახატად. ქართულმა მამულის, მშობლიური ენის სიყვარულმა, მრწამსისადმი ერთგულებამ ყველაზე უკეთ იცის. ეს დღეს ტაკიძეების გვარის 150-ზე მეტმა წარმომადგენელმა აქ მოსვლით, მოლოცვით, სხვა აქტივობით დაგვიდასტურა. მაღლი მათ მამული-შვილობას.

მთა

ტურისტული ლოკასია - ჩაოში თანადგომა სოციალურად დაუსველ ოჯახებს

უცხოელი და ადგილობრივი ვიზიტორები უკვე აქტიურად სტუმრობენ ხელოს მუნიციპალიტეტის ტურისტულ ლოკაციებს, ისტორიულ დირსეანისშენობებს, მწვანე ტბას, ხიხანის ციხეს, სადაც მალე მისასვლელი ბილიკის კეთილმოწყობა დაიწყება

წლის ბოლომდე ხელოს ტურისტულ რუკაზე ახალი ადგილები გაჩნდება. სოფელ ჩაოში, „კოტიკ-

ტორის გამწვანების მიზნით, ათეულობით ძირ მცენარე დაირგვება, ობიექტი ლამპიონებით განათდება, მოეწყობა ფანჩატურა.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 154 438 ლარია, და მისი დასრულება სექტემბერშია დაგეგმილი.

სამუშაოების მიმდინარეობას ხელოს მუნიციპა-




ვარზე“ თანამედროვე მოთხოვნების შესაფერისი ინფრასტრუქტურა მოეწყობა, გაკეთდება გადასახედი, საფენავლო ბილიკები, დაიდგება სკამები, ტერი-

ლიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე და საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე გაეცნენ.

დაუსველ ოჯახებს

წითელი ჭერის აჭარის ორგანიზაცია ხელმოკლე, მარჩენალდაკარგულ, სოციალურად დაუცველ ოჯახებს დახმარებასა და თანადგომას არ აკლებს. ორგანიზაციის წარმომადგენელმა გოგი მიქელაძემ, შუახევის მუნიციპალიტეტის წარ-

რეცელსაა მიჯაჭვული ცინარეთელი თემურ კეჟერაძე. მას გველეთში ოჯახში ეწვივნენ. შუშ პირია მოფრინეთელი არჩილ ბერიძის ოჯახში. პაკეტი მასაც გადასცეს, ასევე ჯანბიძეებელ მალხაზ მუქუტაძეს და სულიკო ივანაძეს.



მომადგენლობითი ორგანოს ხელმძღვანელებმა უჩამბის ადმინისტრაციულ ერთეულში მორიგი აქცია გამართეს. მათ პაკეტები 10-ზე მეტ ოჯახში მიიტანეს. წლებია სა-

გოგაძეებელი სულიკო ბეჟანიძე სოციალურად დაუცველია. გული არც მის ოჯახს დაწყვიტეს.

გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიაძე



მემორიალური დაფები პიროვნებების ღვაწლის დაფასება

856666 პიროვნული 598 24 94 97

ამ რამდენიმე დღის წინ ბათუმში, ზუბალაშვილის ქ. №18-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით, ცნობილი პიროვნებების - იური უნგიაძისა და ლამარა ჩუბინიძის მემორიალური დაფები განთავსდა



იური უნგიაძე მიეკუთვნება მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში აჭარაში მოღვაწე იმ ღირსეულ მამულის მემკვიდრეებს, რომლებმაც მთელი თავისი კეთილი, შინაარსიანი ცხოვრება, ქვეყნისა და ხალხის, განსაკუთრებით მშობლიური აჭარის განვითარება-აღორძინებას მიუძღვნეს. ის იყო გამოჩენილი სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადო მოღვაწე. თითქმის ათი წლის განმავლობაში (1977-1986 წლებში) აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გახლდათ, 1986 წლიდან კი, ოცი წელი, საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის აჭარის სამმართველოს უფროსი. სადაც კი იღვწა, თავისი წარუშლელი კვალი დატოვა. სამსახურებრივი და მოქალაქეობრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისა და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით, მინიჭებული ჰქონდა „საპატიო ბათუმელის“ წოდება. აჭარის დამსახურებული ექიმი გახლდათ მისი მეუღლე - ლამარა ჩუბინიძე, რომელიც ადამიანთა სიცოცხლის სადარაჯოზე იღვწოდა და თავისი სითბოთი და კეთილგანწყობით გამოჩენილად შეაყვარა დიდსა თუ პატარას თავი.

საბჭოს მაშინდელი შენობიდან, დამინახა თუ არა ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ხელშეხვეული, ასეთი საქმით დაკავებული კი მყისვე მომაშურა, ამბავი გამომკითხა და მითხრა: თავს გაუფრთხილდი, იცოდე, შენი ხელი ახლა ყველას გეტკივიაო, აი, ასეთი ადამიანი იყო ბატონი იური. მან დაუფიქრებელი კვალი დატოვა ჩემს ცნობიერებაში როგორც კაცობის, პროფესიონალის მაგალითმა. მემორიალური დაფის განსახსნისთან დაკავშირებით საცხოვრებელ სახლთან შეიკრიბნენ იური უნგიაძისა და ლამარა ჩუბინიძის ახლობლები, საზოგადოება, ისინი, ვინც კარგად იცნობდნენ მათ. სახელდახველო გამოსვლებს მათი შვილი, ცნობილი ექიმი ჯუმბერ უნგიაძე უძღვებოდა.

სითბოთი და სიყვარულით გაიხსენეს შეკრებილებმა ისინი, ვინც ასეთი კეთილი კვალი დატოვეს ჩვენი ქალაქის ისტორიაში. დღეს აქ მოსვლა არის დიდი და კეთილი ურთიერთობების განსვენება და ბუნებრივია, რომ ჩემთვის ეს ძალიან სასიამოვნოა, ამგვაროვლად, სევდანარევი. ბატონი იური იყო არა მარტო აჭარის, ბათუმის, არამედ სრულიად საქართველოს გამოჩენილი სახე, პიროვნება, რომელშიც ასოცირდება სიყვარული, პატივისცემა, ერთგულება ოჯახისადმი, ქვეყნისადმი, კარგი საქმეების უხმაუროდ კეთება. ეს იყო მისი ყოველდღიურობა, მისი ცხოვრების კრედიტო. დიდი სიყვარული და ურთიერთობა მაკავშირებდა მასთან. ჩვენ შორის ყოველთვის იყო ზღვარიც და ახლობლობაც. ის იყო ადამიანი, რომელიც უარსხვად სალი აზროვნებით, დამრიგებლობით გამოიჩინებოდა. რასაც გეტყვოდა, ისე გეტყვოდა, რომ იძულებული იყავი, გაგეკეთებინა და თანაც მაღალ დონეზე. ბატონმა იურიმ შესანიშნავი ოჯახი დატოვა. ექიმი ჯუმბერ უნგიაძე ხომ ჩვენი დიდი იმედი. ის ყველა იმ თვისებების მატარებელია, რაც იური უნგიაძეს ჰქონდა.

მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ ჯუმბერს მშობლების ასე დაფასებისთვის და პატივისცემისთვის. ესაა მაგალითი იმისა თუ როგორ უნდა დაავსო და პატივისცემის სვე შენთვის ძვირფასი ადამიანების სსოვნებას, - აღნიშნა პროფესორმა ნათელა დუმბაძემ, რომელიც იური უნგიაძის დროს აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი გახლდათ.

- საბედნიეროდ, აჭარას კომუ-

ნისტურ ეპოქაშიც ბევრი კარგი ხელმძღვანელი ჰყავდა, მათ შორის იყო იური უნგიაძე. სწორედ იურის-ნაირმა პატიოსანმა ადამიანებმა აკეთეს მაშინ ბევრი კარგი საქმე. მას ჰქონდა მუშაობის ასეთი სტილი - ყველას ეთათბირებოდა, რიგით თუ თანამდებობის პირს. მათთან, ამა თუ იმ დარგის სპეციალისტთან, მოთაბირების გარეშე არაფერს გადაწყვეტდა. მახსოვს მისი მზრუნველი დამოკიდებულება ყველას მიმართ. ყველას მეგობარი და ახლობელი, სრულიად საქართველოს ღირსეული შვილი და მისი პატიოტი იყო. არაერთი სასიკეთო საქმე აკეთა. მქონდა ბედნიერება მთელი ათი წლის განმავლობაში მასთან ერთად მუშაობა, - თქვა სულიკო ინაიშვილმა.

- დღეს იმ ადამიანს ვიგონებთ, რომელმაც ბევრი სასიკეთო საქმე აკეთა თავისი ქვეყნისთვის. კარგ ნამოქმედარს დრო არ ივიწყებს. ეს მემორიალური დაფაც ამის მიმანიშნებელია. ეს ჩვენთვისაც კარგია. ეს სიმბოლიკა იმ დროში მოღვაწე ადამიანებსაც ეკუთვნის, რომლებიც ასევე პატიოსნად ემსახურნენ

სამშობლოს. ამიტომ მადლობას გუძღვნი მას, ვინც ეს მოიფიქრა და გააკეთა, - თქვა აკადემიკოსმა ვანო პაპუნიძემ.

- ბათუმის სამშობლიო სახლის განყოფილების გამგე ვიყავი და ლამარა ექიმთან ურთიერთობა სწორად მიწვედა. განსაკუთრებული პიროვნება იყო ჩემთვის, ძალიან ნაკითხი, განათლებული, უარსხვად კულტურული, მიმზიდველი. ძალიან უყვარდა წიგნი, თავდაც მშრომელი და დაუხარელი იყო, პაციენტებს გამორჩეულად უყვარდათ. ძალიან დაგვავლდა, უფალმა განათლოს ლამარა ექიმის სული, - აღნიშნა ექიმმა შადევი წითელიძემ.

- მამა, ისევე როგორც ასობით ადამიანი, გამოჩენილად მშრომელი იყო. არ მახსოვს, შაბათ-კვირას სახლში ყოფილიყო. დღეს იმ წყობას ასე უდიერად რომ იხსენიებენ, გული მტკივა იმიტომ, რომ ნამდვილად ასეთი ადამიანებით მოვდიოდით. მადლობა თითოეულ თქვენგანს, დღევანდელ ხელისუფლებას, ჩემი მშობლების ასე დაფასებისთვის, - აღნიშნა ჯუმბერ უნგიაძემ.

ახალი შეადგენლობა დაამტკიცეს

თამაზ მგზავრიძე 27 48 93

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, მუშაობას განახლებული შემადგენლობით აგრძელებს.

საბჭოს ახალ წევრებთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართეს მერმა ვანტან ბერიძემ, მერიისა და საკრებულოს პასუხისმგებელმა მუშაკებმა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ახალი წევრები ხულოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები არიან. მათგან 9 მამაკაცი და 6 ქალია ესენია: თემურ, მალხაზ მიქელაძეები, ბექა ჯოჯოლაძე, ეთერ დეკანაძე, არჩილ მარკოიძე, ავთანდილ ბერიძე, იამზე ბოლქვაძე, გულნარა შანიძე, ლელა კოჩალიძე, თამაზ ართემიძე, ნესტან ანანიძე, ვალოდია აბულაძე, ნოდარ აბაშიძე, შოთა შავაძე და ია გელაძე.

საბჭოს წევრები მერს ინიციატივებს, პროექტებს, რეკომენდაციებს წარუდგენენ და მუნიციპალიტეტის საქმიანობაში აქტიურად ჩაერთვებიან. საბჭოს თემურ მიქელაძე ხელმძღვანელობს.

ბათუმი ბევრად მეტია, ვიდრე ფარული მარბალიტი...

საზაფხულო ტურისტული სეზონი სვალ ოფისილურად იხსნება

პირველი გვერდიდან

ასევე, აღდა ფრენები უზმეკეთიდან, გალფის ქვეყნებიდან, ისრაელიდან. ზაფხულის საზღვაო სეზონისთვის მზადება აქტიურად მიმდინარეობს როგორც ბათუმში, ასევე რეგიონებში. ვიზიტორებს განახლებული ტურისტული ობიექტები დახვედრება. ჩვენი მიზანია, რომ აჭარაში ჩამოსულ ვეველა სტუმარს სეზონზე ჰქონდეს სხვადასხვა, დივერსიფიცირებული ტურისტული პროდუქტი. სულ ახლახან ექსტრემის მოყვარულთათვის გახსენით კანონისთვის კანონი, რომელიც ტურისტების მისაღებად მზადა. აქ 600 მეტრი სიღრმის კანონის დალაშქრებისას მ კასკადოვან ჩანჩქერზე თოკებით დაშვება შესაძლებელი. უჩნის შემდეგ ეს რიგით მეორე კანონია აჭარაში, რომელზეც აჭარის ტურისტების დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტომ კანონისთვის ინფორმაციას მოაწყო. ზღვის გარდა, მართლაც საინტერესო და მრავალფეროვანი დასვენება ელოდება ჩვენთან ჩამოსულ სტუმარს. რაც შეეხება განხის ცერემონიას, ღონისძიებები ბათუმის ბულვარში, ანბანის კომპის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართება, - აღნიშნა აჭარის ტურისტებისა და კურორტების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თინათინ ზოიძემ.

დერის გარეშე, გამარტივებული წესით, დაიხარება. აღნიშნული თანხებით გათვალისწინებულია საზაფხულო დეკორაციების მოწყობა და სხვადასხვა ღონისძიება: კვების ბლოკები და კვების კონსტრუქციები, მოწვეული ბენდები და DJ, საგამოფენო სივრცეები, ღამის დეკორაციები, საბავშვო გასართობი ლოკაციები და აქტივობები, ანიმატორები, ფოიერვერკი. ბათუმის კულტურის ცენტრის ინფორმაციით, 90 ათასი ლარი გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებებისთვის: ფრანგის შოუ, დრამერების შოუ, მუსიკალური ბენდების და დიჯეის საკონცერტო პროგრამა, ბანერების ბეჭდვა, ვიდეოგადაღება, ფოიერვერკის გაშვების უზრუნველყოფა. აღსანიშნავია, რომ ბათუმში, სულ ახლახან, ევროპის საუკეთესო ფარულ მარგალიტად „Best Hidden Gem 2022“ დასახელდა.

მსოფლიოში პოპულარული სამოგზაურო პლატფორმის European Best Destinations-ის მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგში ბათუმმა ესპანეთის, გერმანიის, საფრანგეთის, პორტუგალიისა და სხვა ევროპული ქვეყნების ტურისტულ ადგილებს შორის პირველობა მოიპოვა. როგორც თინათინ ზოიძემ აღნიშნა, ეს სტატუსი უფრო მეტ სტუმარს მოიზიდავს. „პირველი რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ, ზოგადად, ტურისტული მიმართულებებისთვის პოპულარობაცა და სტაბილური ქვეყნის სტატუსი არის მნიშვნელოვანი. აღნიშნული სტატუსი, რომ ბათუმში არის ევროპაში „ფარული მარგალიტი“, გამოსაჩენი ადგილი, რომელიც ყველამ უნდა ნახოს, არის

უმნიშვნელოვანესი. ბათუმმა პირველი ადგილი დაიკავა ისეთ ქვეყნებს შორის, როგორებიცაა შვეიცარია, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია. პანდემიის გათვალისწინებით, კონკურენცია გაიზარდა და მნიშვნელოვანია ჩვენთვის ეს აღიარება, რათა მოვიზიდოთ უფრო მეტი ტურისტი, უფრო მეტად განვიმტკიცოთ ადგილი მსოფლიო ტურისტულ რუკაზე. ბათუმზე სტატუსები 10-მდე ცნობილმა გამოცემამ გამოაქვეყნა. Conde Nast Traveler-ი, Forbes-ი, Euronews-ი, Forbes Brazil-ი და პოპულარული პორტალები European Best Destinations-ის რეიტინგს ეხმარებიან და ბათუმს, როგორც ევროპის საუკეთესო ფარულ მარგალიტს, მილიონობით მკითხველს აცნობენ. Forbes USA წერს, რომ ჩვენ ვართ მდიდარი ისტორიით, მემკვიდრეობით, მსოფლიოში უნიკალური მემკვიდრეობით და ევროპის ყველაზე თამამი არქიტექტურით. ბათუმში, ასევე, საინტერესო მიმართულებაა გურმანებისა და ღვინის მოყვარულთათვის. ეს უკვე მოწმობს, რომ ჩვენ ვართ ერთ-ერთი ადგილი მსოფლიოში, სადაც შეუძლია ტურისტს, დაისვენოს“, - აღნიშნა თინათინ ზოიძემ.

ევროპაში პოპულარული სამოგზაურო პლატფორმა European Best Destinations-ი ჩვენი ქალაქის შესახებ წერს: „ბათუმი - ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა და გასაოცარი ტურისტული მიმართულება ევროპაში, წელს ევროპის ფარულ მარგალიტებს შორის დასახელებული, საქართველოს ერთ-ერთი რეგიონია, აჭარის დედაქალაქი მთელი წლის განმავლობაში მოსახალხურებელი ადგილია. სას-

<p>მთავარი რედაქტორი</p> <p>მარიანა მითაიშვილი</p>	<p>გამომცემი რედაქტორი</p> <p>ირმა შერვაშიძე</p> <p>ლიტერატურული რედაქტორი</p> <p>ეთერ სომარიკი</p>	<p>რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.</p> <p>ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.</p> <p>რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.</p>	<p>გამომცემი - შპს</p> <p>«ბაზეიი აჭარა ლა ალპარია»</p> <p>კოორდინირებული მომსახურება -</p> <p>შპს «კოლორ პრინი»</p> <p>მის: ქ. თბილისი, ქ. ბაქდაშვილის ქ. №3</p>	<p>მისამართი: 6000,</p> <p>ბათუმი, გრიგოლშვილის ქ. №2</p> <p>ტელ: 27-13-31</p> <p>ანიფი და დაკავალდონა</p> <p>გაზეთი აჭარისი კომპ. ცენტრი</p> <p>დასაბავშვო ხელმოწერა 13/06/22, 20 მ. ს.</p>	<p>ლიტერატორი</p> <p>გამუკა პერიკი</p>
--	---	--	---	--	--

